

რატომ ეს სასწავლო პროგრამა?


COVID-19-ით გამოიწვეული ეკონომიკური კრიზისის ტემპი სიურპრიზი იყო, განსაკუთრებით მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (MSMEs), რომლებსაც ყველაზე მეტი ზიანი მიაღდათ. მათ უმრავლესობას კრიზისზე რეაგირების გეგმა ან საერთოდ არ ჰქონდა, ან მათი გეგმები ძალიან ხისტი/მოუქნელი იყო.

ასეთ შემთხვევებს არ ქონია ადგილი იმ საწარმოებში, სადაც დანერგილი იყო სტანდარტები. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) [გამოკითხვაზე დაფუძნებული შეფასების შეფასებები აჩვენებს](#), რომ ასეთმა საწარმოებმა, საწარმოო პროცესის გადაწყობით და ელექტრონულ კომერციაში ჩართულობის გაზრდით, შეძლეს შესაბამისობის შენარჩუნება და წარმოების გაძლიერება. მიუხედავად ამისა, ბევრი საწარმო ვერ ხელავს სტანდარტების დანერგვის მნიშვნელობას. ეს სასწავლო პროგრამა საწარმოებს გააცნობს სტანდარტების დანერგვის სხვადასხვა ასპექტებსა და სტრატეგიული დაგეგმვისთვის საჭირო ინსტრუმენტებს.

რატომ შეიქმნა ეს სასწავლო პროგრამა?

UNECE არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხუთი რეგიონალური კომისიიდან ერთ-ერთი და მისი მიზანია კომისიის წევრ ორმოცდაექვს სახელმწიფოს შორის მეტი ეკონომიკურ ინტეგრაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ამის მისაღწევად ორგანიზაცია შემდეგ მექანიზმებს იყენებს:

- დიპლომატიის ფორმირების შესახებ,
- საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების შესახებ მოლაპარაკება,
- რეგულაციების და ნორმების შემუშავება,
- საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და გამოყენება,
- გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ტექნიკური თანამშრომლობა.

 Palais des Nations
8-14 Avenue de la Paix
CH - 1211 ჟენევა 10,
შვეიცარია



უფრო ძლიერი ეკონომიკის მშენებლობა COVID-19-ის შემდეგ:

სტანდარტების დანერგვა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებში შესაძლებლობების განვითარებისათვის



სარჩევი

პროგრამის მიმოხილვა	1
დაწყება	2
კურსების თანმიმდევრობა	3
მიღებული ცოდნა	4



პროგრამის მიმოხილვა



კურსი 1

შეჩერდი-შეისვენე-გადააჯგუფე-შეაფასე რისკი: რა მოხდა და რა შეგვიძლია გავაკეთოთ?

როგორ დაგეხმარებათ საერთაშორისო სტანდარტები თქვენი სიტუაციური ცნობიერების ამადლებაში და რისკების მართვის ინოვაციური სტრატეგიების შემუშავებაში.



კურსი 2

მივადწიოთ: გვაქვს თუ არა უსაფრთხოების უზრუნველყოფი კავშირები, რომელთა შესახებაც არ ვიცით?

ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროს მიმოხილვა და გლობალური მიწოდების ჯაჭვის აქტორებთან სტრატეგიული ალიანსების ჩამოყალიბების მიდგომები.



კურსი 3

შეიმოსეთ: განსაზღვრეთ პირველადი დახმარების ინსტრუმენტები

საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებზე დაყრდნობით ოფისში უსაფრთხო დაბრუნების ალტერნატიული სქემების შემუშავება.



კურსი 4

ძალების გაერთიანება: დავიწყეთ ტრანსფორმაცია

ხარისხის, მდგრადობისა და ბიზნესის უწყვეტობის სტანდარტები და მასთან დაკავშირებული ცნებები.



კურსი 5

გამოწვევა და გაფრენა! რა სირთულეებს უნდა დავძლიოთ შემდგომში?

ურთიერთდამოკიდებულება გლობალურ კატასტროფებს შორის, როგორცაა COVID-19 პანდემია და კლიმატის ცვლილება.

დაწყება



3 დღემდე ონლაინ რეჟიმში



თვითმართვადი კურსები, 2-3 საათი დღეში



ისწავლეთ თანამოაზრე მეწარმეებთან ერთად მთელი მსოფლიოდან.



გამოიყენეთ ლეპტოპი ან დესკტოპ კომპიუტერი



ხელმისაწვდომია უფასოდ
<https://e-learning.unece.org>

კურსების თანმიმდევრობა

კურსების თანმიმდევრობა დალაგებულია ლოგიკურად

კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა დაგეხმარებათ სტანდარტების დანერგვის ასპექტების გაცნობაში. კურსები შეესაბამება თქვენი ცოდნის სხვადასხვა ეტაპს, როდესაც იწყებთ სტანდარტების იდენტიფიცირებას და მათი დანერგვისათვის გეგმის მომზადება, მათ შორის ისეთი სტანდარტების, რომლებიც საშუალებას მოგცემთ თქვენს სამუშაო ადგილსა და საწარმოო ობიექტებში დანერგოთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის უსაფრთხოების მოთხოვნები. ამიტომ, თქვენ უნდა დაიწყოთ პირველი კურსიდან. თუ გადაწყვეტთ სწავლა დაიწყოთ თქვენი ბიზნესის სტრატეგიის შესაბამისი კურსიდან, სავარაუდოდ სირთულეებს წააწყდებით. ვინაიდან კურსები ისეა ურთიერთდაკავშირებული, რომ თითოეული მათგანის ცოდნა გამოიყენება მომდევნო კურსებში.

როდესაც თქვენ კურსს დაასრულებთ

უნდა გაიაროთ ტესტი სერტიფიკატის მისაღებად და გადახვიდეთ შემდეგი კურსზე.

გვითხარით რას ფიქრობთ

გთხოვთ, დაუთმოთ დრო შეფასების ფორმის შევსებას.



მიღებული ცოდნა

ამ პროგრამის დასრულების შემდეგ თქვენ გექნებათ:

- სტანდარტების მკაფიო აღქმა და გაიაზრებთ მათ როლს თქვენი საწარმოს მდგრადობის, ზრდის პერსპექტივებისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში.
- COVID-19-ის კონტექსტში თქვენი ორგანიზაციის სამუშაო ძალის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.
- სტანდარტების გაუმჯობესების შესაძლებლობა შემდეგ ასპექტებში:
 - პროდუქტის ხარისხი
 - გარემოსდაცვითი მენეჯმენტი
 - ენერგოეფექტურობა
 - მდგრადობა და ბიზნესის უწყვეტობა
 - ცირკულარული წარმოება
 - სოციალური პასუხისმგებლობა
 - რისკების მართვა
 - ინოვაცია.
- ინსტრუმენტები, რომლებიც დაგეხმარებათ თქვენი ბიზნესის შესაბამისი სტანდარტების იდენტიფიცირებაში და მათი წარმატებით დანერგვისათვის გეგმების განსაზღვრაში.
- ინსტრუმენტები, ჩარჩოები და პრაქტიკა, რაც დაგეხმარებათ სამუშაო გარემოს გამოწვევებს შორის მანევრირებაში და მოგცემთ უნარს გამოწვევები შესაძლებლობებად აქციოთ.

